MIA 0 20 00451085

20/02/2020

ხელშეკრულება №31
საინკასაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 20 თებერვალი 2020 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ „საქართველს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“** (შემდგომში **„შემსყიდველად”** წოდებული), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ლევან ძნელაძის** სახით და მეორე მხრივ, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** (შემ დგომში **„მიმწოდებლად”** წოდებული), წარმოდგენილი მისი ინკასაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **დავით გიგაურის** სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტი) მოთხოვნათა შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 2020 წლის 20 თებერვლიდან - 05 მარტის შუალედში ,,მიმწოდებელი“ „შემსყიდველი“-ს მოთხოვნის შესაბამისად, ერთჯერადად უზრუნველყოფს შემსყიდველის ძვირფასი ლითონების დაცვა-გაცილებას - CPV79713000 (შემდგომ „მომსახურება“) შემდეგი მიმართულებით:

- ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. №4-დან - ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა-ს მიმართულებით.

1.2. ,,შემსყიდველი” იღებს ვალდებულებას ,,მიმწოდებელი”-ს გადაუხადოს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით.

მუხლი 2. ,,მიმწოდებელი“-ს თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვა გაცილების რეჟიმი

2.1. ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული შემსყიდველის ძვირფასი ლითონების დაცვა-გაცილებას, ,,შემსყიდველის” მოთხოვნის შესაბამისად, განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, ინკასაციის სამმართველოს სამი თანამშრომელი, ცეცხლსასროლი იარაღითა და სპეციალური სანათი, ხმოვანი მოწყობილობით აღჭურვილი ერთი ავტომანქანით,

2.2. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, გადაადგილების მომენტში, დაასწროს სათანადოდ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი.

მუხლი 3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1.საერთო სახელშეკრულება ღირებულება შეადგენს **1000,00 (ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, სადაც** მომსახურების ღირებულება ერთჯერადად შეადგენს **500 (ხუთასი) ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.**

3.2. ,,შემსყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ თანხას ,,მიმწოდებელს" გადაუხდის ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან (რომელიც დასტურდება სათანადოდ გამოყოფილი უფლებამოსილი პირის/პირების მიერ და მხარეებს შორის დგება მომსახურების დასრულების შემდეგ) და ელექტრონული საგადასახო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1.არ გაამჟღავნოს ,,შემსყიდველის" სამსახურებრივი საიდუმლოება;

4.1.2. დაცვა-გაცილება განახორციელოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინკასაციის სამმართველოს ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი თანამშრომლებით;

4.1.3. ,,პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

4.1.4. უზრუნველყოს ფასეულობის გაძლიერებული დაცვა და მისი უდანაკარგო გადატანა;

4.1.5. პოლიციელთა გადაადგილებისათვის, გამოყოს სპეციალური შეფერილობის, სპეციალური სანათი და ხმოვანი მოწყობილობით აღჭურვილი ავტომანქანა;

4.1.6. ,,მიმწოდებელი" ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს ,,შემსრულებლის" მიერ დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

4.1.7. ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ,,შემსყიდველის" საბუღალტრო და სხვა საჭირო დოკუმენტაციას;

4.1.8. ,,შემსყიდველისათვის" ზარალის ანაზღაურებას ,,მიმწოდებელი" მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

4.1.9. ვალდებულია ,,შემსყიდველის" მოთხოვნისთანავე მიავლინოს დაცვა-გაცილების ეკიპაჟი ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ ,,ობიექტზე".

4.2. ,,მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს:

4.2.1.ავტოსაგზაო შემთხვევის (ავარია) ან ისეთი შემთხვევების დადგომისას, რომელიც არ არის გამოწვეული ,,შემსრულებლის" განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით;

4.2.2.თუ ,,შემსყიდველმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4.3. ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

4.3.1.ერთი დღით ადრე აცნობოს ,,მიმწოდებელს", ელ. ფოსტით ან სატელეფონო კავშირით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების დრო;

4.3.1.განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნათა შესრულება;

4.3.2.,,მიმწოდებლი"-ს თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს ,,მიმწოდებელს";

4.3.3.,,შემსყიდველს" ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1.მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1.ხელშეკრულება ერთჯერადია, ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 15 აპრილის ჩათვლით;
6.2. ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ,,შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 7. სხვა პირობები
7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;
7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება/ინსპექტირება, რომლის მიზანია მომსახურების ხარისხის და მიწოდების ვადების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, რომელიც განხორციელდება სათანადოდ გამოყოფილი უფლებამოსილი პირის/პირების მიერ.
7.3. სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;
7.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ფორმდება ელექტრონულად, რომლის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია.
მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი"
სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"
ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. #4
სკ 205081249
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი:TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707027501

„მიმწოდებელი"
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსსაჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი:211350928
ხაზინის ერთიანი ანგარიში,
ბანკის კოდი: TRESGE22,
მიმღები ანგარიში/სახაზინო კოდი - 707117033

სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი / ინკასაციის
სამმართველო
სამმართველოს უფროსის მოადგილე
გიგაური დავით